

შპს „ირინა“-ს ავტოგასამართი სადგურის
სკრინინგისგანცხადება.

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №380, ეგრეთ წოდებულ „მახოს ხიდის“ მიმდებარედ, (GPS კოორდინატები: (X-722416,11; Y-4605413,07), არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1002 მ² მიწის ფართობზე 2015 წლიდან ფუნქციონირებს შპს „ირინა“-ს კუთვნილი ავტოგასამართი სადგური, რომლის დანიშნულებაა როგორც თხევადი საწვავების (ბენზინი, დიზელის საწვავი), ასევე თხევადი გაზის მიღება-შენახვა და რეალიზაცია.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ხსენებული საწარმოს ფუნქციონირებით მიმდინარე პერიოდისათვის ხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული 4 სხვადასხვა მოცულობის მიწისქვეშა საწვავის შესანახი საცავიდან, მათ შორის 3 (მოცულობით: 60+60+60 მ³) განკუთვნილია ბენზინისათვის და 1 (მოცულობით 70 მ³) დიზელის საწვავისათვის. გარდა ამისა საწარმოში პაერდამაბინძურებელ წყაროს მიეკუთვნება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული თხევადი გაზის სარეალიზაციო უბანი, აღჭურვილი 1 (5 ტონიანი) მიწისზედა საცავით და საწვავის ჩამოსასხმელი ერთი დგარით, აღჭურვილი 2 ჩასასხმელი ხორთუმით (პისტოლეტი), რომელთაგან 1 განკუთვნილია საყოფაცხოვრებო ბალონების შევსებისათვის, მეორე კი ავტოტრანსპორტის გამართვისათვის.

მაგნე ნივთიერებათა სახეობაა: ნახშირწყალბადები, რომელთა გამოფრქვევა ხდება საწვავის შესანახ საცავებზე დამონტაჟებული 4 ერთეული სასუნთქი მილებიდან ($h=6\text{მ}$; $d=0,04\text{მ}$). ამასთან, ერთად ნახშირწყალბადების გამოფრქვევა ხდება ტერიტორიაზე განთავსებული 3 ჩასასხმელი დგარებიდან, რომლებიც აღჭურვილია ჯამში 14 ცალი ჩასასხმელი ხორთუმით (პისტოლეტი), მათ შორის 6-6 განკუთვნილია ბენზინისა და დიზელის საწვავისათვის, ხოლო 2 თხევადი გაზისათვის.

მიმდინარე პერიოდისათვის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის ავტომაგისტრალის მშენებლობა, რომლის გარკვეული მონაკვეთი არსებული სამთავრობო გეგმა-პროექტის თანახმად გაივლის ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და დაიკავებს კომპანიის კუთვნილი ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან აუცილებელი გახდა, მოქმედ საწარმოში გარკვეული სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი შენობა-ნაგებობებისა და ცალკეული აგრეგატ-დანადგარების დემონტაჟი და სხვა ტერიტორიაზე განთავსება. დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა 4 საცავის (3-ბენზინი, 1-დიზელი) და 1 თხევადი გაზის მიწისზედა საცავის დემონტაჟი და საწარმოს სხვა ტერიტორიაზე განთავსება. ასევე შეეცვლება ადგილი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ საწვავის ჩამოსასხმელ დგარებს, მათ შორის 2 ბენზინისა და დიზელის საწვავის და 1 თხევადი გაზის დგარს. იმავედროულად არსებულ 4 მიწისქვეშა საცავს დაემატება 1 დიზელის საცავი, მოცულობით 62,4 მ³. ყველა საცავი აღჭურვილი იქნება ლითონის სასუნთქი მილებით, რომელთა სიმაღლე იქნება 8 მეტრი, ხოლო დიამეტრი 0,04 მეტრი.

საწარმოში საწვავების რეალიზაცია მოხდება 2 ერთეული (დიზელი, ბენზინი) და 1 თხევადი გაზის ჩამოსახსხმელი დგარების მეშვეობით. დგარები აღიჭურვება ჯამში 18 ჩასახსმელი ხორთუმებით (პისტოლეტი), რომელთაგან 8 განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისათვის, 8 ბენზინისათვის და 2 თხევადი გაზისათვის.

არსებული წარმადობიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგური, მისი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში საშუალოდ წელიწადში რეალიზაციას გაუკეთებს: დიზელის საწვავს 2000 ტონას და ბენზინს 1500 ტონას. ამასთან ერთად, თხევადი გაზის სარეალიზაციო უბანზე წელიწადში რეალიზაციას გაუკეთდება 200 ტონა თხევად გაზს, მათ შორის 100 ტონას საყოფაცხოვრებო ბალონებით ხოლო 100 ტონა გახარჯული იქნება ავტოტრანსპორტის გამართვისათვის.

საწარმოში საწვავის (დიზელი, ბენზინი) შემოტანა პროექტით დაგეგმილია ავტოცისტერნის საშუალებით, თვეში ორჯერ ამ სამჯერ, რეალიზებული საწვავის რაოდენობის მიხედვით. ავტოცისტერნიდან საცავეში საწვავის ჩასხმა მოხდება თვითდინებით საცავეებზე არსებული მიმდებ დგარებზე დაერთებით. რაც შეეხება თხევად გაზს მისი საწარმოში შემოტანა ასევე მოხდება სპეციალური ავტოცისტერნით ერთჯერ ან ორჯერ თვეში. საწვავის საცავეში ჩასხმა მოხდება ტუმბოს მეშვეობით.

საწარმოს წყალმომარაგების (სამეწარმეო დანიშნულებით) ერთი წყარო გააჩნია, საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული (ლიცენზის №000324) ჭაბურღილი. ხოლო რაც შეეხება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგებას, ის განხორციელდება სოფლის ცენტრალური საწყლოსნო ქსელიდან.

საწარმოს ტერიტორიის მონარეცხი წყლები, რომლებიც პირობითად დაბინძურებული იქნება ნავთობპროდუქტებით, საწარმოს ტერიტორიაზე არსებული სპეციალური ღია ტიპის არხების მეშვეობით ჩაედინება 2-საფეხურიან შემკრებ-სალექარში, რომელთა ზედაპირის ფართობი 1,2 კვადრატული მეტრია, ხოლო სიღრმე 0,8 მეტრი. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილების „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნების შესრულებისა და ჩაშვებული წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 2 ცალი (ეფექტურობა 80-85%) შემკრებ-სალექარის მოწყობა. სალექარში დაგროვილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასის შენახვა მოხდება სპეციალურ კასრებში და გადაეცემა სათანადო უფლებამოსილ საწარმოს, როგორც სახიფათო ნარჩენი, თანახმად საქართველოს კანონისა „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს შესახებ. რაც შეეხება წყალს, ის სალექარის გავლის შემდეგ, გაწმენდილი ჩაიშვება საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ გამავალ სანიაღვრე არხში, შემდგომ მდინარე ჭოროხში. იმავდროულად, საწარმოს ტერიტორიაზე დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები კი გადაეცემა ბათუმის სანდასუფთავეების კომპანიას თანახმად წინასწარ გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებისა.

საწარმოს განთავსება დაგეგმილია ე.წ. „მახოს დასახლებაში“, ბათუმი ახალციხის ავტომაგისტრალის მიმდებარედ, შავი ზღვიდან 9 კმ-ს დაშორებით. მანძილი ახლომდებარედ გამავალ ზედაპირულ საწყლოსნო ობიექტამდე (მდ. ჭოროხი) შეადგენს 200 მეტრს, ხოლო მანძილი

მოსახლემდე 150 მეტრს. საწარმოს განთავსების ტერიტორია არ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის, ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიებს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები. რაც შეეხება საწარმოს მიმდებარედ განთავსებულ მწვანე ნარგავებს (ციტრუსი) ის წარმოადგენს კერძო მფლობელობას, რომელიც არსებული გეგმა-პროექტის თანახმად ასევე განთავსებულია მშენებარე ავტომაგისტრალის ტერიტორიაზე. გამომდინარე აქედან, მეპატრონისა და შესაბამისი სამსახურების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდება მათი მოჭრა ან ამოძირკვა და სხვა ტერიტორიაზე გადარგვა. რაც შეეხება საწარმოს მიმდებარედ, მდინარე ჭოროხის კალაპოტის გასწვრივ არსებულ მწვანე ნარგავებს (თხმელი), ისინი არ წარმოადგენენ წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებს და საწარმოს რეკონსტრუქციის დროს მოხდება მათი მოჭრა ან გადაბეღვა. ამასთან, ერთად, საპროექტო ობიექტის მიმდებარედ და მის სიახლოვეს ცხოველთა სახეობები არ ფიქსირდება.

ასევე გაანგარიშებულია ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა (ნახშირწყალბადები ჯამურად) გაფრქვევის რაოდენობები და დადგენილია, რომ მათი რაოდენობა დაშვებული ნორმების ფარგლებშია.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის პროცესში, მიწის სამუშაოების წარმოებისას, ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა კანონმდებლობის სრული დაცვით დასაწყობებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორიაზე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების გამოყენება. შესაბამისად, ამისა ავტოგასამართი სადგურის ექსპლოატაციის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი. საწარმოს სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე რაიმე ტრანსსასახლდრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური აღიჭურვება სახანძრო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო დაფით, თანახმად „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“, ტექნიკური რეგლამენტისა, რაც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

ტერიტორიაზე ასევე დამონტაჟდება მეხამრიდი, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და საწვავის გასაცემ სვეტებს. საწვავის მიღებისას ავტოცისტერნები დაერთდება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება საწვავის მიღების პროცესი. დამიწებული იქნება ასევე საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა და საწვავის რეზერვუარები.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, იმდენად, რამდენადაც მის უშუალო სიახლოვეს განთავსებული ანალოგიური ტიპის და დანიშნულების ავტოგასამართი სადგური (შპს „გაღფი“) განთავსებულია 800 მეტრის დაშორებით.

მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი იღებს ვალდებულებას „კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ადგილი ექნება როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სახიფათო ნარჩენების სახეობებია: ნავთობდამჭერის ნალექი (კოდი-130503*), მოსალოდნელი რაოდენობა 30-35 კგ/წ; დაღვრილი ნავთობი (კოდი-050105*), მოსალოდნელი რაოდენობა 25-30 კგ/წ; ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები (კოდი-200121*), მოსალოდნელი რაოდენობა 5-10 კგ/წ. ექსპლოატაციის დროს საწარმოში ასევე ადგილი ექნება სამედიცინო და სადუხინფექციო (პირბადეები, ხელთათმანები, დეზინფექციის მასალები) ნარჩენების წარმოქმნას, რომელთა წონა ჯამურად სავარაუდოდ 10-15 კგ/წ იქნება. სახიფათო ნარჩენების მაქსიმალურად უსაფრთხო მართვისათვის საწარმოს ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს უზრუნველყოს მათი შეგროვება და საწარმოს ტერიტორიაზე დროებით შენახვა, შემდგომ მათი ტერიტორიიდან გატანა და შესაბამის ლიცენზირებულ სამსახურზე გადაცემა არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ნავთობდამჭერში დაგროვილი ნალექი და ობიექტის ტერიტორიაზე დაღვრილი და შეგროვებული ნავთობი დაგროვდება ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ კასრებში და შეინახება ობიექტის ტერიტორიაზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ სათავსოში. რაც შეეხება მათი ტერიტორიიდან გატანას, კომპანია გადასცემს მათ ისეთ საწარმოსა და ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია და გააჩნია სათანადო ნებართვა ხსენებული ნარჩენების ტერიტორიებიდან გატანის შესახებ. ამ საქმიანობის განხორციელება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება არსებული ნორმების შესაბამისად.

ავტოგასამართ სადგურში ძირითადად დასაქმებულია ადილობრივი მოსახლეობა, რომელთა რაოდენობა ახალი საწარმოს ექსპლოატაციაში გაშვების დროს გარკვეული რაოდენობით გაიზრდება.

ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე საწარმო იმუშავებს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 365 სამუშაო დღით წელიწადში.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, განმეორებით განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას.